
თიბისი ბანკი

ორ ეტაპიანი ტენდერი ცენტრალური ფილიალის სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე

I ტური (პრეკვალიფიკაცია - ბაზრის კვლევა)



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ღია ელექტრონულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემების – www.etenders.ge -ს ან www.tenders.ge-ს საშუალებით.

I. ტენდერში მონაწილეობის წესები

ბაზრის კვლევის ფარგლებში წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია:
01.12.2026წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
მერაბ ჯაფარიძე (ინჟინერი) – 595 957 870 MeJaparidze@tbcbank.ge

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

II. სატენდერო პირობები

ტენდერი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპის ფარგლებში ბაზრის კვლევის საფუძველზე შეირჩევა კვალიფიციური შემოთავაზებები. ბანკი დაინტერესებულია არსებულ პარტნიორებთან ერთად განიხილოს ახალი პრეტენდენტების შემოთავაზებებიც. მეორე ტურში მოწვევა განხორციელდება კონკურენტული ფასისა და კომპანიების სამუშაო გამოცდილების ფაქტორების გათვალისწინებით.

აღნიშნულ პროექტში თანამშრომლობისათვის ბანკისთვის სასურველი ბიუჯეტია არაუმეტეს 1,800,000 ლარი გადასახადების ჩათვლით.

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ., საშემოსავლო და ა.შ.)

შემოთავაზება შევსებული უნდა იყოს ბანკის მიერ წარმოდგენილ **„სატენდერო დანართ N1“**-ის ფორმში, სადაც მოცემულია შესასრულებელ სამუშაოთა საჭირო მოცულობები. **„სატენდერო დანართ N1“**-ში ივსება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოების ფასთა გრაფები, დანარიცხების პროცენტული სიდიდეები და შემსრულებლის მონაცემები.

დანარიცხების გრაფაში არ არის საშემოსავლოს პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადი ხელფასების სვეტში უნდა იყოს გათვალისწინებული. ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

ბანკთან სამუშაო გამოცდილების ისტორიის არ მფლობელი პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციას დაურთოს შემდეგი ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების

შესახებ: უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში შესრულებული მსგავსი ტიპის სამუშაოები (ფოტოები, სამუშაოების ტიპი და მოცულობა, რეკომენდაცია, ფორმა 2 ან ობიექტის ჩაბარების დამადასტურებელი სხვა ინფორმაცია).

გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება (ხელშეკრულების ნიმუში იხილეთ წარმოდგენილი დრაფტის სახით) დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც კვალიფიცირდება მეორე ტურში და წარადგენს საუკეთესო ფასს.

აუქციონის თანაბარი ფასებით დასრულების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია უპირატესობა მიანიჭოს პრეტენდენტს, რომელიც პირველი დააფიქსირებს საბოლოო ფასს, ასევე თანაბარმნიშვნელოვანი შემოთავაზებების შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას გადაწყვეტილება დააფუძნოს საავანსო მოთხოვნას.

გამარჯვებული ვალდებულია სამუშაოები წარმართოს საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტს (იხ. თანდართული).

თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შემთხვევაში ბანკი უფლებას იტოვებს გადაწყვეტილება მიიღოს საავანსო მოთხოვნის გათვალისწინებით.

გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.

მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს საქონლის/მომსახურების სრული ინფორმაცია.

პრეტენდენტი ვალდებულია ბანკის მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი ფორმატის მეშვეობით დააზუსტოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია - მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა და სხვა.

მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge

ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

წინადადების მოქმედების ვადა: მინიმუმ 30 კალ. დღე.

P.S. ელექტრონული ვაჭრობის საგანია სამუშაოების ჯამური ღირებულება!

III. წარმოსადგენი ინფორმაცია:

კომპანიის რეკვიზიტები

კომპანიის იურიდიული სახელი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირის სახელი გვარი, პოზიცია:

ელ-ფოსტა, ტელ-ნომერი:

IV. საკვალიფიკაციო მოთხოვნა და სამუშაო დრო:

საგარანტიო პერიოდი და შესრულების ვადა (იხ. სატენდერო დანართი N1);

სამუშაოები შესრულდება სახელმწიფო რეგულაციებით გათვალისწინებულ საათებში;

V. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ხარჯთაღრიცხვა - დანართი N1 (ექსელის ფორმატში);
- ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ (უკანასკნელ 2 წელში ჩაბარებული ანალოგიური პროექტები);
- სრულად შევსებული KYP ფაილი - იცნობდე შენს პარტნიორს;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;